

**სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის
თანადაფინანსებისა და საგარანტიო მიმართულებები
საბანკო კრედიტის ხელშეკრულება # -ის დანართი**

, საქართველო,

წლის

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კლიენტის დაფინანსების გარკვეულ პირობებთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **დადგენილება** - 2014 წლის 30 მაისის საქართველოს მთავრობის #365 დადგენილება და მასში შესული ყველა ცვლილება-დამატება და 2019 წლის 29 მარტის საქართველოს მთავრობის #163 მარტის დადგენილება და მასში შესული ყველა ცვლილება-დამატება;
- 1.2. **დეფოლტი - ბანკსა და კლიენტს შორის კრედიტთან დაკავშირებით დადებული გარიგებ(ებ)ით**, მათ შორის **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ისეთი გარემოებ(ებ)ის დადგომა, რომელიც **ბანკს** ანიჭებს ზემოაღნიშნული გარიგებ(ებ)ის ცალმხრივად შეწყვეტის ან/და **კრედიტის** თანხის ვადაზე ადრე სრულად დაფარვის მოთხოვნის უფლებას უფლებას;
- 1.3. **სახელმწიფო პროგრამა** - 2014 წლის 30 მაისის საქართველოს მთავრობის #365 დადგენილებით სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის თანადაფინანსებისა და საგარანტიო მიმართულებები, ასევე 2019 წლის 29 მარტის საქართველოს მთავრობის #163 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა საკრედიტო საგარანტიო სქემა;
- 1.4. **საკრედიტო გარანტია** - 2019 წლის 29 მარტის საქართველოს მთავრობის #163 დადგენილებით განსაზღვრული, საგარანტიო კომპონენტის ფარგლებში გაცემული გარანტია, რომელიც წარმოადგენს ფინანსური რისკის გადანაწილების ინსტრუმენტს;
- 1.5. **სააგენტო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - აწარმოე საქართველოში;
- 1.6. **კრედიტი** - საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხი;
- 1.7. **თანადაფინანსება** - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროექტის თანადაფინანსება, სააგენტოს მხრიდან **ბანკის** მიერ გაცემულ **კრედიტზე** დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის **სახელმწიფო პროგრამით** განსაზღვრული პირობებით დაფარვა;

2. განცხადებები და გარანტიები

- 2.1. **კლიენტი** ადასტურებს, რომ: (ა) **ბანკმა** სრულად და გარკვევით მიაწოდა **კლიენტს** ინფორმაცია **სახელმწიფო პროგრამის** პირობების და ამ პროგრამიდან გამოდინარე **კლიენტის** ვალდებულებების შესახებ; (ბ) **კრედიტთან** დაკავშირებულ გარიგებებს დებს საკუთარ ცოდნაზე, სხვადასხვა წყაროდან მოკვლეულ ინფორმაციაზე და მიღებულ კონსულტაციაზე დაყრდნობით.
- 2.2. **კლიენტი** აცხადებს და ადასტურებს, მისთვის ცნობილია, რომ:
 - 2.2.1. **კრედიტი** ფინანსდება **სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში, შესაბამისად მისთვის ცნობილია, **დადგენილებით** განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის: (ა) დაფინანსების კრიტერიუმები, მიზნობრიობა; (ბ) სანქცია/პირგასამტეხლო, გათვალისწინებული **სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში გაცემული კრედიტის მიზნობრიობის დარღვევისთვის; (გ) **კრედიტთან** დაკავშირებული **ბანკსა და სააგენტოს** შორის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმოცვლის მოთხოვნები; (დ) წარმოების დაწყებისა და საქმიანობის პროფილის შენარჩუნების დაცვის მოთხოვნები.
 - 2.2.2. იმ შემთხვევაში თუ **საკრედიტო გარანტიით** სარგებლობისთვის **სააგენტოს** მიერ იქნება განსაზღვრული რაიმე სახის საკომისიო, რომლის გადახდაც მოუწევს **ბანკს სააგენტოსთვის** მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ეს საკომისიო ხარჯი **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს **კრედიტის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას;
 - 2.2.3. **თანადაფინანსებით** სარგებლობისას, **კრედიტის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლოა არ იქნას გათვალისწინებული **სააგენტოს** მხრიდან თანადაფინანსებული პროცენტი;
 - 2.2.4. **საკრედიტო გარანტია** წარმოადგენს ფინანსური რისკების გადანაწილების ინსტრუმენტს, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით, რომ **დეფოლტის** დადგომის შემთხვევაში, **ბანკს** რჩება უფლება **კლიენტის** მიმართ მოითხოვოს **სესხთან** დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების სრულად შესრულება, **ბანკის** მიერ ფინანსური რისკების გადანაწილების მიზნით **საკრედიტო გარანტიის** თანხის ჩამოწერის მიუხედავად;
 - 2.2.5. **დეფოლტის** შემთხვევაში (ა) **დადგენილების** შესაბამისად **საკრედიტო გარანტიის** თანხის ჩამოწერა არ იწვევს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი რომელიმე ფულადი ვალდებულების შესრულებას, შემცირებას ან/და შეწყვეტას; (ბ) **თანადაფინანსების** ფარგლებში **სააგენტო** არ განახორციელებს **კრედიტის** პროცენტის თანადაფინანსებას;
 - 2.2.6. თუ **სააგენტოსა და ბანკს** შორის დადებული შესაბამისი გარიგებ(ებ)ით სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, **ბანკის** მიერ ჩამოწერილი **საკრედიტო საგარანტიო** თანხის შესაბამისი ნაწილი ექვემდებარება **სააგენტოსთვის** უკან დაბრუნებას იმ თანხ(ებ)იდან, რომლებიც მიღებული იქნება **კრედიტთან** დაკავშირებული **კლიენტის** ფულადი ვალდებულებ(ებ)ის დაფარვის მიზნით განხორციელებული გადახდევინების მიქცევის ღონისძიებ(ებ)ის ან/და შესაბამისი პირ(ებ)ის (არ შემოიფარგლება მხოლოდ **კლიენტით**, უზრუნველყოფის მიმწოდებლით) მიერ ნებაყოფლობით განხორციელებული გადახდ(ებ)ის შედეგად;
 - 2.2.7. **კრედიტის** უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების ღირებულების გაზრდა არ შეამცირებს **საკრედიტო გარანტიის** მოცულობას/ოდენობას, იმ შემთხვევაშიც თუ **კრედიტის** უზრუნველყოფის საშუალებებისა და **საკრედიტო გარანტიის** ჯამური მოცულობა გადააჭარბებს **კრედიტის** ძირითადი თანხის 150 (ას ორმოცდაათ) პროცენტს.

2.2.8. **ბანკსა და კლიენტს შორის წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია:** (ა) სრულად ან ნაწილობრივ ითქვას უარი **საკრედიტო გარანტიაზე** ან/და (ბ) სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლდეს **საკრედიტო გარანტია** სხვა უზრუნველყოფით; ან/და (გ) დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა.

3. უფლებები და ვალდებულებები

3.1. **კლიენტი** აცხადებს გამოუთხოვად თანხმობას, რომ **კრედიტის** განაცხადის დამუშავების, **კრედიტთან** დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის, მონიტორინგის, კონტროლის, მართვის ან/და კანონმდებლობით დაშვებული სხვა მიზნებისთვის, ნებისმიერი ოდენობით, მოცულობით და სიხშირით:

3.1.1. **ბანკი** (ან მისი უფლებამოსილი) უფლებამოსილია, გადასცეს **სააგენტოს**, გამოითხოვოს **სააგენტოსგან**, გადასცეს ნებისმიერ პირს (თუ ასეთი პირის სასარგებლოდ ხდება/განხორციელდა **კრედიტთან** დაკავშირებული გარიგებებიდან მოთხოვნის დათმობა), დაამუშაოს **კრედიტთან**, ასევე **კლიენტთან**, **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან და უზრუნველყოფის საშუალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და ფინანსური ინფორმაცია) ან/და დოკუმენტი;

3.1.2. **სააგენტო** უფლებამოსილია გადასცეს **ბანკს** (ან მის უფლებამოსილს) ან/და გამოითხოვოს **ბანკისგან** (ან მისი უფლებამოსილისგან), ასევე დაამუშაოს **კრედიტთან**, ასევე **კლიენტთან**, **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან და უზრუნველყოფის საშუალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და ფინანსური ინფორმაცია) ან/და დოკუმენტი (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, **საბანკო კრედიტის ხელშეკრულება** და უზრუნველყოფის გარიგებები);

3.1.3. თუ **კლიენტი** საბანკო მომსახურების მიღებისა და **სახელმწიფო პროგრამაში** მონაწილეობის მიზნით, **ბანკს** აწვდის ოჯახის წევრ(ებ)ის ან/და სხვა პირთა (თავდები, უზრუნველყოფის გარიგების მხარის და სხვა) შესახებ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, მათ შორის პერსონალურ მონაცემებს, **კლიენტი** ამავდროულად ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობა, მათ შესახებ ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების **ბანკისთვის** გადაცემასა და შემდგომ დამუშავებაზე, მათ შორის **კრედიტის/სახელმწიფო პროგრამის** მონიტორინგის მიზნებისათვის ამ ინფორმაციის **სააგენტოსთვის** შეუზღუდავად გაზიარებაზე. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის/მისი** უფლებამოსილი პირისთვის ან/და უშუალოდ **სააგენტოსთვის** მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** ან **სააგენტოს** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას.

3.2. **სააგენტო** უფლებამოსილია **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, **ბანკთან**, **კლიენტთან** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, **სააგენტოს** მიერ დადგენილი სიხშირით და პერიოდულობით, განახორციელოს **კრედიტის** მიზნობრიობის მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი წარმომადგენლ(ებ)ის ადგილზე ვიზიტის გზით.

3.3. **ბანკი** უფლებამოსილია **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, **სააგენტოსთან**, **კლიენტთან** ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაში** მითითებულ პირ(ებ)თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული სიხშირით და პერიოდულობით, განახორციელოს **კრედიტის** მიზნობრიობის მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი წარმომადგენლ(ებ)ის ადგილზე ვიზიტის გზით.

3.4. **კლიენტი ვალდებულია:**

3.4.1. მკაცრად დაიცვას **კრედიტის** მიზნობრიობა;

3.4.2. **ბანკის** ან/და **სააგენტოს** მოთხოვნის შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს **ბანკს**, **სააგენტოს** **სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში დაფინანსებულ **კრედიტთან** დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი.

3.4.3. **ბანკის** წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში, აუნაზღაუროს **ბანკს** **სააგენტოს** მიერ დაკისრებული ნებისმიერი თანხა (პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სხვა გადასახდელი), რაც **ბანკის** დასაბუთებით (**კლიენტისთვის** ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტალური მტკიცებულებების წარდგენის გარეშე) გამოწვეული იქნება **კლიენტის** ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) ან/და **დეფოლტით**;

3.4.4. **ბანკის** წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში, **კრედიტის** უზრუნველსაყოფად წარუდგინოს **ბანკს** მისთვის (**ბანკისთვის**) მისაღები დამატებითი უზრუნველყოფა თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის (მოცემულ შემთხვევაში დამატებითი უზრუნველყოფის ჩათვლით) **ბანკის** შიდა პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრული სალიკვიდაციო ღირებულებისა და **საკრედიტო გარანტიის** მოცულობის ჯამური ოდენობა დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენის მომენტისთვის არ აღემატება **კრედიტის** ძირითადი თანხის (ნაშთის) 110 (ას ათი) პროცენტს;

3.4.5. **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად, გადაიხადოს **საბანკო კრედიტზე** დარიცხული (ასევე მომავალში დარიცხული) პროცენტი სრული ოდენობით ((იგულისხმება: (ა) ის ნაწილიც, რომელიც უნდა გადახდილიყო **სააგენტოს თანადაფინანსებით**; და (ბ) სააგენტოს მიერ უკანგამოთხოვილი **თანადაფინანსებული** თანხაც)) თუ **სააგენტო** ნებისმიერი საფუძვლით (იმის მიუხედავად თუ ვისი ბრალეულობით იქნება ეს გამოწვეული), სრულად ან ნაწილობრივ, არ განახორციელებს, შეწყვეტს, შეაჩერებს **თანადაფინანსებას** ან/და უკან გამოითხოვს **თანადაფინანსების** თანხას.

3.5. **ბანკი უფლებამოსილია:**

3.5.1. გაცემული **საკრედიტო გარანტიის** ან/და **თანადაფინანსების** ნებისმიერი საფუძვლით **სააგენტოს** მიერ შეწყვეტის, შეჩერების, გამოთხოვის შემთხვევაში ან/და **კლიენტის** მიერ ამ **დანართით ბანკისთვის** ან/და **სააგენტოსთვის** მინიჭებული უფლებამოსილების/გაცემული თანხმობის (ან მისი ნებისმიერი ნაწილის) რომელიმე საფუძვლით გაუქმების/შეჩერების შემთხვევაში (ა) შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კრედიტის** ტრანშის (ნაწილის) გაცემა; ან/და (ბ) მოთხოვოს **კლიენტს** **საკრედიტო გარანტიის** ჩანაცვლება **ბანკისთვის** მისაღები, შესაბამისი მოცულობის უზრუნველყოფით, ასეთი მოთხოვნის **კლიენტისთვის** წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება შეასრულოს ასეთი მოთხოვნა; ან (გ) **კლიენტის** 5 (ხუთი) დღით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით ცალმხრივად გაზარდოს **კრედიტის** საპროცენტო განაკვეთი.

3.5.2. მოითხოვოს კრედიტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის, მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება (შეცვლა) (ხოლო ბანკის მიერ ინიცირებული შეცვლილი პირობები ძალაში შევა კლიენტის 10 (ათი) დღით ადრე შეტყობინების გზით) იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი ნორმატიული აქტ(ებ)ით სხვა პირობ(ებ)ით ჩამოყალიბდება, რამაც შესაძლოა საზიანოდ იმოქმედოს ბანკის ინტერესებზე.

3.5.3. ნებისმიერ პირს დაუთმოს კრედიტთან დაკავშირებით დადებული გარიგებ(ებ)იდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნა.

4. სხვა პირობები

4.1. წინამდებარე დანართი წარმოადგენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობებსა და წინამდებარე დანართის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ამ დანართის პირობებს.

4.2. დანართის თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

5. მხარეთ ხელმოწერები

ბანკი

კლიენტი
